



ქართული
ბიზნისობა



— ეს ისტორიული ძეგლი დახიანებულია ბარბაროსული

ყურადღება! ყურადღება!

ლაბარაკობს «ნიანგის» რადიოსატელევიზიო კვანძი! ვიწყებთ გადაცემას საზოგადოებრივი წესრიგის ნებისმიერი ასაკისა და სქესის დამრღვევთა შესახებ. ჩვენი მიკროფონი დგას ქ. თბილისის სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში, სადაც ბაზრის თანამშრომელთაგან შემდგარი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმელები ავთანდილ ჭითინავა, ივანე კვიციანი, ხანია კასოიანი და აზიზა შაბოიანი დამნაშავეებთან ჭიდილში ჩაბმულან.

თქვენ გესმით სპეკულაციისათვის ხუთგზის რეგისტრირებული, არაერთგზის მსჯავრდადებული, თავზე ხელაღებული ოფელია მარკოზის ასულ გასოვას ხმა:

— ლიფები, ლიფები, სტაკაკა!

— ქალბატონო ოფელია, გთხოვთ უამბოთ ჩვენს მსმენელებს, როგორ დაეუფლეთ ლიფებითა და გულისპირებით სპეკულაციის ხელოვნებას?

— თავიდანვე ამ საქმის დიდი ნიჭი დამყვა. ახლა ერთი მაღაზიის გამგე გადამიკიდა, პადარკად დღეში ათ ლიფსა და ოც სტაკაკს მაძლევს. მე ერთი ლიფიც კისრამდე მყოფნის. დანარჩენს ხომ არ გადაყრი? ვდგავარ და ვყიდი. ახლა ეს წესრიგის დამცველები არ მაძლევენ საშველს და მილიციაში დამათრევენ. მაგათ ურჩევნიათ, თითო ლიფი იყიდონ და თავიანთ ცოლებს წაუღონ, თორემ ერთ-ორს ხომ ვცემე, მაგათაც ვაზიარებ. ესლა ნახვამდის, თუ ლიფი ან სტაკაკა დაგჭირდეთ, დეზერტირაკაში გამოიარეთ.

— გამაღობთ, ქალბატონო!

ახლა კი თქვენ ისმენთ ეგვენია დავითის ასულ ბობუშის ხმას:

— სინკა-ლილა, ნალები, ვანილიი!


— ქალბატონო ეგვენია, ეს ბავშვი ვინაა, გვერდით რომ გახლავთ?

— ესა? რა შენი საქმეა! შენ თვითონ ვინა ხარ? ვერა გცნობ.

— შაბოიანი აზიზა ვარ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმის წევრი.

— აა, შენა ხარ! ეს ჩემი შვილია, პრაქტიკაზე დამყავს. შენ რა, სინკა-ლილა გინდა, თუ გინდა, დაგალილავო!

რაც ბინახავთ ვაშლი ნახავთ



— ვაიმე, შეგვამააა!

ეს უკვე შაბოიანის შეკვივლებაა. გესმით: მის თითებს გულდაგულ ხრავს ქალბატონი ეგვენია ბობუში. ვიდრე რაზმის წევრები ეგვენიას თავს ვააცნობენ და მილიციაში წააბრძანებენ, ხოლო შაბოიანს პოლიკლინიკაში წაიყვანენ, პოისმინეთ უწმინდესი ილუმენის, ღვთის მონისა და მისივე გლახის ასია აბრამის ასულ ასლამაზოვას სათნობით აღსავსე ხმა:

... სანთელივით ჩაქვრები,

ბევრს თუ მომცემთ, დავდნები...

— წმინდაო ასია! როდის ეკურთხეთ სასპეკულაციო მოღვაწეობისათვის?

— ეს რა სპეკულაციაა, თქვენი ჭირი-მე?! წმინდა სანთლებს ვამზადებ და ხალხს წმინდა გზაზე ვაყენებ. რა ვუყოთ, რომ ფულს ვართმევ? ყველას ღმერთი შეეწევა, ვინც ამ სანთლებს გამისაღებს. ააამინ!

— ერთი შეკითხვა, წმინდაო ასია. ცვილს სად შოულობთ?

— რა გამაცინეთ, თქვენ კი გაიხარეთ! საქართველოში ფუტკარს რა გამოლევს! არ გაიგეთ, ქართული ფუტკარის ხორთუმი მსოფლიოში უგრძესიაო!

რაზმის წევრები ასიას მოკლედ აჭრევენ და მას განსაწმინდელში ათავსებენ.

ახლა კი ვრთავთ «ნიანგის» ტელეაბარატურას. თქვენ ხედავთ, როგორ მიაბრძანებენ მილიციაში რაზმელები ილია ჯოხაძე, ვალერიან ნიკოფოროვი და სხვები ივანე ივანეს-ძე ფედოტოვს. ეს ის ფედოტოვია, დღე-



დაღამ რომ ბაზარში დაწანწალებს უსაქმოდ. ახლა საქმეში ჩაბმულა—კვერცხის ქურდობა დაუწყია. ბაზრის იმ კუთხეში კი საშინელი აურზაური. რაზმელები ვლადიმერ თევდორაშვილი და დავით კობახიძე ვალენტინა პავლეს ასულ სიმონოვას ჩაფრენიან და ცდილობენ როგორმე ააგლიჯონ გორელ კოლმეურნეებს.

— ქალბატონო ვალენტინა, რატომ ურტყამ გლეხებს, რამ აღვაშფოთათ?

— უსამართლობაა, უსამართლობა! რაღაც ერთი კილო ვაშლი ავიღე ნისიად მიმქონდა, ხომ არ მომიპარავს!

რაზმელებს საჩქაროდ მიჰყავთ ვალენტინა, რადგან ახლა სხვა საქმე გამოუჩნდათ: სერგო ზაქარიას-ძე მაისურაძეს სოლომონ მეკლანუაშვილისათვის მიუბაძავს და ქათმებით სპეკულაცია დაუწყია, მხოლოდ სერგო გაბუტულ ქათმებს ყიდულობს და ჰყიდის. ჭკვიანდაც იქცევა—ბუმბულმა მტვერი იცის.

კადრში ჩნდება რაზმის უფროსი ივანე რეხვიაშვილი. ვრთავთ მიკროფონს.

— პატივცემულო გვანე, როგორ მუშაობს თქვენი რაზმი?

— ჩვენს რაზმში 41 წევრია. ყოველდღე ხუთ-ხუთი წევრი მორიგეობს. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მრავალი შემთხვევა გამოვავლინეთ და, თუ 24 აპრილს 33 შემთხვევას ჰქონდა აღვლი, 4 მაისისათვის მხოლოდ 5 დარღვევა მოხდა.

— გისურვებთ ისე გემუშაოთ, რომ თქვენს რაზმს სამუშაო გამოლედეს და რაც გვინახავს, აღარ გვენახოს!

— გამაღობთ!

— არაფერს.

ამით გამთავრებთ ჩვენს დღევანდელ გადაცემას

შომაველ შეხვედრამდე!

დიქტორის ტექსტს კითხულობდა




ნახ. რ. მახარაძისა.

„კინოვარსკვლავი“

ქინვალკანის

შედეგები



ერთ შვიან დღეს ცუდი
დადგეს ქინვალკანში,
მონტიორი გასამართად
თრჯეთ მთის-დღესი.

ღარუკვ და გული შრახით
აგნთუმა დნთად,
სან არაფინ გიპასუხებს,
სან ვა—ყველა ერთად.

ქინვალი სთმ ქინვალკანთან
იფე არის, ანლთს,
ბყვირთი:—ალოო!.. ქინვალისა?!
მე ვარ, შარისასთ!

სანი გადის, ამ მსრთი წყობის
კვლავ არ უჩანს მთლთ ..
შავშვიდ მესპლუმს გაპლამას
კოქის ძაფი კლლთლს.

ივანე არაგვანი



ნახ. ზ. ლევადასი

მანია წმინთელი წმინთი

— ვინ იფიქრებდა, რომ ამდენი თანახოფლელი მწერალი მეყოლე-ბოდა!



თქოფილეს წერილი „ნიანგს“!

გამარჯობა „ნიანგო“, შენი! გუშხამ ამიტყდნენ ბალნები, ჩამოი თბილისში, ნახე ერთი, რაფერ ვცხოვრობთო.

მეორე დღეს ქე წვეფდი, მარა, ვაი იმ წასვლას, პალტოს გახდა არ მაცალა ციცამ. მინუქში იგი მითხრა—ბაბა, ფული მინდა, რაცხა საკაბეა პურლნე თუ სირლონე, გახრიგინებულად რომ დგას წელს ქვევით, ქვედან კილო იუბკე უნდა იმფერი, პარაშუტივით ედგეს კაბა ზეიდანო. გინახავს ამფერი კაცს?.. ისთე ქე დამამშვიდა: ზღვაზე, ბაბა, არაფერი მინდა, ერთი გულგამოღლეტილი კაბით პატი ფეხშველა ვიქნებო. წინ

თმაი ჩამოუშლია, შუბლი არ უჩანა და თვალი. ვინცხას არ დიეტაკოს, აი შერვენებული! უკან სწორეთ აქ ჩამოშლილი, სატირალში რომ მიდიან ჩვენში, თლათ ისთე. აი მოდააო. მე და შენ რომ იგი კინო-სურათი ვნახეთ, მარჩიელის ციცა რომ დატანტალობს ტყეში და იმფერი ლამაზი ბიჭი რომ გადარია, გახსოვს?.. ეგება, მეც ქე გადავრიო. ვინცხა აქანეო. ვინცხასი რამოგახსენო და, მე ქე გადამრია!

ნეტაი, ბიჭი მაინც გამოსულიყო დამჯდარი ჭკუის. ჯერე მამაჩემის სახელი - ილარიონი დავარქვი. აქანე ჩამოვედი და დამხვდა „ილკა“. რაია ილკა? მიდღემში არ გამიგია ამფერი სახელი.

მერე რაცხა შავი კრებეს კოსტუმია, იგი მინდა, სხვაი არაო. ნაჭერში 2000 მანეთი მისცა, ნიდაყვებთან აქ სახელო. რომ დაჯდება, აი ბანჯგელიანი წვივები ქე უჩანა. რომ შემოვიდა, შემომეყარა

გულზე: რაია, ბიჭო, აი, სხვისი კოსტუმში გამოგიტანია, დევილუბე-მეტქი!—ვიყვირე, ვიჯლავე, ვინ დაგიჯერა! გადისვა თავზე რაცხა თმის საგლესია, აი ჩვენში ძროხა რომ ატლიკავს ხბოს, ისე უუპრიალა თმაი. სტილია, ჯიგაროო—მითხრა და გავარდა კარში. მიდღემში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ბალნები ამფერი გეიზრდებოდნენ, მარა, ასე ყოფილა, ბატონო; რამდენი მეტი გადაყვები ბალნებს, იმდენი მეტი უარესია. დამეგლო აქანე და მიმეცა თოხი ხელში ბიჭიზა და გოგო გემეშუა ჩას საკრეფად, ახლა რომელიმე შრომის გმირი მეყოლებოდა, აპა? მარა ახლა რა დროისაა. შენ მაინც მიშველე რაცხა, „ნიანგო“, და ძალლის ნაკბენივით დაგიმახსოვრეთ.

ბარათი „ნიანგს“ გადასცა

თინა შორაშოლიანა

ნახალები

მედიანო წლის ბოლოში გაიმართება თბილისის ინფექციური საავადმყოფოს მუშაკთა 10 წლისათვის მიძღვნილი საიუბილეო-საზემო საღამო (სალამოს ჩატარების ადგილი და რეგულირება ცალკე იქნება გამოცხადებული).


გისურვებთ — მშენებლობაზე ჭკაროსნული მეთოდის დანერგვისა და მის შედეგად მსურველ წარმატებასა შესახებ წაიკითხავს მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაი (მისი გვარი ჯერ უცნობია). სიტყვებით გამოვლენს ლაპარაკისა და თანამშრომლის მოყვარულს ენაპყვივული მოქალაქე.

სალამოზე წყობილი იქნება მშენებლობის ხელმძღვანელთა სახელზე მიღებული გულამბრუნებელი დებება ზაია უკროსი კოლეგების — ფსიქიატრიული საავადმყოფოს მშენებლებისადგან (ისინი მხოლოდ ხუთი წელიწადია აშენებენ საავადმყოფოს) აგრეთვე შრომალტობიანი დებება ინფექციურ დაავადებათა გამომწვევ მიკრობთა საზოგადოებისადგან.

მშენებლობის ხელმძღვანელ მუშაკებს, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალი მეთოდების დანერგვის საქმეში და სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში მიადრწეს საავადმყოფოს მშენებლობის ნი და ცოტა მეტი პროცენტითავე შესრულებას, საზემო ვითარებაში გადაეცემათ სპეციალური საყვარელ ნიშნები. ნიშნის წინა მხარეზე გამოხატული იქნება უდიდესი სისწრაფით მომავალი კურსორს მშენებელთა დაუცხრომელი მისწრაფებისა და არანაული გატანების სიმბოლო.



— ხად ხარ, კაცო, ერთი თვეა სამსახურში არ გაიმართებარა!
— თქვენ არ მთხარით, ბატონო, სამსახურში მთხარა მოხუცი არ დავინახაო?



(აბილი)
ჯერ მხოლოდ 29 წლის ვარ. გუშინდელივით მახსოვს: მოკლე შარავილი და სახლის სახურავზე მტრედების დგენა.

შემდეგ — სკოლა, კლასში მიწების ლაწულწუი და ორიანებით დატვირთული ჩანთით სახლში მისვლა, ამის გამო დედის ქეთიანი კლასის დამარტყველთან და ჩემი ბილივილი ქამარშემოხმინილი მამასთან.

შემდეგ — სტუდენტობა „სამიანი და ჯანმრთელობა“, კანის შრილით გიტაცება და უდიდო ლექსების წერა, ტრამვაიში „პრინციპულად“ უბედულოდ შეზარობა და ოფიციატანთან ფულის მაკერად დაბადების მოწოდების დატოვება, სიარული ავბა-დავბა, არ დარიდება დროის, ენერჯის, ჯანმრთელობის.

ახლა კი?..

გამწივ: ვუკლი გაქცევის და ვუმატე ჯდომას.
200 მეტრის გავლის შემდეგ ხევიანში ვჯდები და ვისვენებ.
სადღუროდან ერთ „საკვირაზსაც“ ვუშას ვატან.

გულს ყოველ აჩქარებულ ცემას ვღებულობ როგორც განაჯანს სისოცხლის რეკლამენტის შესამცირობად.
როგორც კი ცხვირის დამაკემინებს, ვაგვირვიარ აფთიაქში და ათასნაირ წამლებით ვიკეპობი.

სამსახურში დახარჯული ენერჯის აღსადგენად ძილის დრო გავზარდე 10 „დასასვენებელ“ საათიმდე.
თმის ცვენამ ტრავაგიული ტონებიდან მიიღო კომიკური ელემერი. აღარ ვისცამ თავზე ნიორს და ზამთარში მედსაც კი ვიხურავ.

მერიდება უკან მოვებდო კობტა ქალიშვილის ტანს.
ტრულიბუსში ავდივარ მუდამ უკანა ბაქნიდან.

აღარ მრცხენია პურზე წასვლა და ბაზარში ოხრატუშზე შევაჭრება.

შემიყვარება: საღამოზე მიმოდ თავის დაკვრა და ქუჩაში პორტფელის ტარება.

ორიოდე წლის წინ მსგავსი არაფერი ყოფილა.

ბაი ბარლიშვილი



აჭარბულ სახლში დეხებრით მიწა მაგნისი მანამ, ინაზრეა და რე ინაზრეა „ბუბანტობის“ ჯინამბე.



ლუქვის მინა მუუუუუუ, თბი ზისა გათალუს, აჩუა-აჩუა მუუუუუუ, „აააააააააააა“ ჩათალუს.

შაინაუნი



აღრცხვებე აივანს, მინას ელმე ცანაგლა, ხან მუხუბო, ხან მუხუბო, ააანაგლა — განაგლა.



ახალ ხახლს ჩაბახლს ბილილიე მალია ბაღში ზიღული ციფაია, თან აღარ ჭაიათაია.

ბი. ჩიძიშვილი

ქაიუბეჩაი
დასასვენებელი

ფილი კანში გავზაენეს და რევისორი კანში აღარ ეტობილაო.

ახალდანიშნული დირექტორი საგარეოში არ ჩანდა, ორი თვის შემდეგ კი საგარეოში აღარ ჩანდაო.

დ. კოპაია

ნა. ვ. ფირცხალავასი



— მილი, კაცო, მიტხარე, რას გაჩერებულხარ!
— რად უნდა მიხმარება, ისედაც ერევა!



მაღალ მაკედონს, რამდენიმე კაცი შემოვლოვოდა. ლუღა-ჭაბაზს მიირთმევდა და ლუღს აყოლებდა. მიორიებით ერთ უნიკო ტენორს არაყი ადუღვა და ნახევრი ბოთლი ნახვრამდე დაეკვანა. მიუღონდნულად მაღალი მაკედონს სუფრის წვერებს ერთი მუახნის კაცი გამოეყო და მომღერალს მიუხალვოდა.

— რას აკეთებ?! — მიმართა მაი აღმყოფობით, — თქვენი თავი თუ არ გეზარალებათ, რას ეუბნებით თქვენს მაცურებელს! თქვენ ამის უფლება არა გაქვთ, მარტო თქვენს თავს არ ეკუთვნით.

სუსტი შენიშვნით ნასამოგებმა მომღერალმა მოსულს ჩაის ჭიჭა გაუწოდა და თხოვა დაეღია.

— ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შედმეტი არ მოგიოდდეო და ხმა არ გაიფუჭოთ, — თქვა მან და არაყი გადაკრა. შემდეგ ერთმანეთი გადაკყენეს და მომღერალმა სასაუბრემე დატოვა.

როდესაც მუახნის კაცი თავის ამხანაგებს დაუბრუნდა, ერთმა უთხრა:

— როგორ არა ვრცხენია, სულ შედ მომღერალს ავიტებ და, პირში კი სუსტი ქაინაური უთხარა!

— რისი უნდა მრცხენოდეს! — მივოდ მან, — ეს ქაინაური არ ყოფილა. მაგას რომ ცუდი ხმა აქვს, არც ასედა ჭუარტყვო, მაგარა იგი ისეთი კაცია, რომ, რაც არ უნდა გაუფუჭდეს ხმა, სიმღერას თავს მაინც არ დაანებებს და კიდევ უფრო დავიტანებებით!

ბ. პაბიანი



პაოყენებზე

შეიძლება დაკარგო ფული, საათი, ჩემოდანი და, ამავე დროს, დაკარგო დროც.

დროს დაკარგვა ზოგს არაფრად მიაჩნია, მაგრამ, მე რომ მკითხოთ მისი დაკარგვა ყველაზე ძნელი.


ნუ იტყვი, ამაზე ლაპარაკიც დროის დაკარგვაა!

ზოგიერთი მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს მიმხედარა, რომ მას დროთი ცუდად უსარგებლია, ამის შეგნება ელდად სცემია და მაშინვე მტკიცედ გადაუწყვეტია: ამიერიდან მაინც... მაგრამ მალე უიმედოდ ჩაუქნევია ხელი, რადგანაც დარწმუნებულა, რომ დაჰგვიანებია...

მე კი ყველა ამის მნახველმა და ნაწილობრივ ფაქტიურადაც ჩამდენმა ვაჟკაცურად გადავწყვიტე ვაჟკაცობა გამოვიჩინო, ნებისყოფა განვიმტკიცო, გაუმართლებელ სურვილებსა და მისწრაფებებს არ ავყვე, წარმოშობისთანავე ფეხი დავაჭირო, ყელში ვწვდე და წავუჭირო ხელი, ვკრა და ზურგი ვაქციო და ყოველმხრივ გააზრებული ცხოვრების გზით გაბედულად გავსწიო წინ, დრო წესიერად გამოვიყენო, წუთიც უბრალოდ არ დავკარგო, გასაკეთებელი წიგნაკში და შეგნებაში ჩავინიშნო, თავის დროზე შესრულებაც შევამოწმო, საკუთარი ჩამორჩენა დავგმო და გავამათრახო. ვიშრომო, ვისიამოვნო და სხვებიც ავიყოლიო.

დიახ, სწორედ ასე უნდა მოვიქცე! რა გელიმებათ? რატომ იცინით? მართალია, ამ თვითვალდებულებას ჯერ ხუმრობის კილოთი ვაფორმებ, მაგრამ იგი მალე სინამდვილედ იქცევა. შედეგს ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ. ხოლო თქვენ ახლავე მენდეთ, მომბაძეთ, ბევრს მოასწრებთ.

პავლე თიარგელი



ვაჭრობის ინსპექტორი ავტომატთან

— მთელი დღე ვუყურებ და ჯერ ერთი კაციც არ მოუტყუებია, რომ აქტი შევუდგინო!



ნახ. დონისა

ყველაზე ავტორიტეტული პიროვნება რაიონში, რომელსაც ვერაფერ ვერ ხსნიხ.

სიანოჩი

მიუჩინაღის



წიწკა—ცოლის ენას ნიშნავს, არასასიამოვნოა პახმელიაზე.

ბალი—არამკითხვების აზრით, ბალი ათი შაური ღირს. (არ დაიჯეროთ!)

გოგრა—ნაკლებად გონიერ თავს ნიშნავს. ხილბოსტნეულის მაღაზიაში ვერ ხარობს.

მარწყვი—დედაბერმა იანვარში რომ ინატრა და მის ამაო ლოდინში აგვისტოში ხილბოსტნეულის მაღაზიაში რომ დალია სული, ის არი.

ია—აიმ მთაზედა, თოვლიანზედა, ვარდის მაგიერ რომ მოვიდა და გამწვანების ტრესტის მაღაზიებში მაინც არ გამოჩნდა.

პიტნა—ვირს რომ სძულდა და არც ხილბოსტნეულის მაღაზიები აძალბდნენ, ის არი.

შეადგინა ჯ. დიდგილიშვილმა

უცხემეწი ნიუბონი

კოლონარი იუმორი უზარბისი ვეპილი

ბრალდებული ეკითხება ვეპილს:
— როგორი მსჯავრი მომელი?
— მე სიმართლისათვის ვიბრძობ.
— ო, ასეთ შემთხვევაში სხვა ვეპილი
უნდა მოენახო.

კითხვაზე კითხვით

ფრანგმა ჟურნალისტმა კითხა ჩარლი
ჩაბლინს:
— როგორ გრძნობ თავს ჩვენთან, საფ-
რანგეთში?
— მე რა,—უბასუხა ჩარლი ჩაბლინმა,—
მთავარია, თქვენ როგორ გრძნობთ თავს
თქვენთან, საფრანგეთში?

მიმართვა

სატირიკოსებისადმი

—თქვენი ამოცანაა, ხალხი სიცილით გან-
კურნოთ და არა ძილით!
თარგმნა **ლ. ჭავჭავაძემ**

გერმანული იუმორი

თვალდასუჭული

— მამა შეგიძლია შენი სახელი და გვარი თვალდასუჭულმა და-
წერო!
— რა თქმა უნდა. მაგრამ, რად გინდა ეს?
— მინდა ჩემი ნიშნების ქალაქზე მოგაწერინო ხელი.


რა არის სიზარმაცე

მასწავლებელმა ბავშვებს თემა მისცა დასაწერად: «რა არის სი-
ზარმაცე?»
მეორე დღეს რვეულების გასწორებას შეუდგა. ფრიცის რვეული
გადაშალა, პირველი გვერდი ცარიელი აღმოჩნდა, მეორეც ცარიელი,
მესამე გვერდზე კი ეწერა. «ეს არის სიზარმაცე»



თარგმნა **ც. ცხენოსანიძემ**

უკანული იუმორი



ბანსაცვივრებელი ბავშვი

— შვილები გყავთ?
— დიახ, ერთი ვაჟიშვილი.
— ყალიონს ეწვევს?
— პაპიროსს თავის სიცოცხლეში არ მიკარებია.
— დუქანში დადის?
— ფეხი არასოდეს არ დაუდგამს იქ.
— ძალზე მაოცებთ. არც გვიან ბრუნდება სახლ-
ში?
— ჰკამს თუ არა, მაშინვე იძინებს.
— რა წესიერი ვაჟი გყოლიათ! რამდენი წლი-
საა?
— ორი თვისაა, ბატონო.

თარგმნა **ნ. წივილაშვილმა**

უსაანური იუმორი

ლუი XIV და კარისკაცი




ერთხელ საფრანგეთის მეფეს ლუი XIV სასახლეში წვეულება ჰქონდა. მან კარისკაცს ჰკითხა:
— ესპანური იცით?
— ო, არა, სენიორ,—შეცბა კარისკაცი,—მაგრამ გპირდებით, რომ ვისწავლი ოთხ თვეში. განდიდ-
ბის მოყვარულს ეგონა, რომ საფრანგეთის მეფეს მადრიდში მისი ელჩად წარგზავნა ჰქონდა გადაწ-
ყვეტილი.
იგი გულმოდგინედ შეუდგა ენის შესწავლას, სწავლობდა გრამატიკას, წერდა სავარჯიშოებს, კითხუ-
ლობდა ტექსტებს და, ბოლოს, მიზანს მიაღწია—ესპანურს დაეუფლა.
დათქმული დრო მიიწურა. 4 თვე გავიდა. კარისკაცი გამოცხადდა მეფესთან და ამაყად განუცხადა:
— სენიორ, მე ვისწავლე ესპანური ენა.
— ძალიან კარგი,—უბასუხა ლუი XIV,— შეგიძლია ამიერიდან უკვდავი სერვანტესის «დონ-კიხოტი»
დედანში წაიკითხო.

თეატრში

გუტიერესი თეატრში იყო. ჰსრულდებდნენ დუეტს ოპერიდან «კარმენი».
— მამიკო, რატომ მღერის ორი მომღერალი ერთად?—კითხა ცნობისმოყვარე გუტიერესმა მამას.
— იმიტომ, რომ მალე დაამთავრონ.—უბასუხა მამამ.

თარგმნა **თ. გაბუნიაშ**

ნან. გ. ფირცხალავასი



უტექსტო ხუმრობა


რედაქტორი—ნიკო შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე,
ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“:
რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, ხაერთო განყოფილების—2-18-29.

გამომც. № 11. ხელმოწ. დასაბ. 21/V-1959 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.
ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შეკვ. № 610 ეუ. 02814. ტირ. 40.000.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამერიკული თავისუფლება

59-366



თქვენ თავისუფალი
ხართ!



5.000.000
უბედურად